№ 284 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. სამშაბათი, დეკემბერი 14 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 50 % რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—83.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

სამშაბათს 14 დეკემბერს

## „სევილიელი დალაქი“

ოთხშაბათს 15 დეკემბერს „პიკის ქალი“, ხუთშაბათს, 16 დეკემბერს საბალეტო წარმოდგენა მორდკინისა „კარნავალი“, პარასკევს, 17 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბოროვსკისა და ბელოუსოვის მონაწ.

დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

## წყალსადენის აბონენტების საყურადღებოდ

## ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს,

რომ საჭიროა წყალსადენის აბონენტებმა მიიღონ ზომები წყალსაზომების ყინვისგან დასაფარავად.

რამდენადაც შესაძლებელია საჭიროა წყალსაზომები შეხვეულ იქნან ჩვრებით; მილების ირგვლივ კი დაყრილ უნდა იქნას ნახერხი; გაფუჭებული წყლის ხუფი შეკეთებულ უნდა იქნას.

წყალსაზომების შოვნა სიძნელეს წარმოადგენს (თითო წყალსაზომი ღირს 20.000 მან.) და ვისაც ის გაუფუჭდება ვალდებული იქნება კანონის ძალით გადაიხადოს მისი ღირებულება.

ქალაქის გამგეობა.

1026 3—3

## საქართველოს სახაზინო რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს,

რომ დეკემბრის 20-ს დილის 12 საათ. იგი ნიშნავს შეჯიბრებას შემდეგ სამუშაოებზედ:

ვაგონების დატვირთვა და გადმოტვირთვა სხვა და სხვა მასალებით და სათბობი მასალით (ქვანახშირი და შეშა) სათბობ მასალის დარიგება საწყობიდან მოსამსახურეთა სახაზინო ბინაზე. დატვირთვა ორთქმავლების ქვანახშირით და აგრეთვე სხვა და სხვა სამუშაოები სამასალო და სათბობ მასალის შემდეგ საწყობებში: ბათომი, სამტრედია, ფოთი ქუთაისი, ზესტაფონი, შორაპანი, ჭიათურა, ხაშური, ბორჯომი, ტფილისი, სანაინი და დროებითი საწყობები. ვადა სამუშაოებისა ამა 1 იანვრიდან 1 ივლისამდე 1921 წ. განცხადებები საქართველოს სახ. რკ. გზ. კასის კვიტანციის თანდართვით საწინდრის შეტანის შესახებ 5000 მან. უნდა შემოტანილ ან გამოგზავნილი იქნეს თითეულ საწყობზე ცალკე დახურულ კონვერტში შემდეგი მისამართით: ქალ. ტფილისი, საქართველოს სახაზინო რკ. გზების სამმართველო, სამასალო სამსახურის უფროსს, დაწვრილებითი ცნობების ან გამოთხოვა ზემოაღნიშნულ სამუშაოების შესახებ შეიძლება სამასალო ნაწილის უფროსისაგან და აგრეთვე სიწყობების ზედამხედველებისაგან ადგილობრივ 9 საათიდან 3 საათამდე გარდა უქმე დღეებისა. 1027 3—3

## ამა წლის დეკემბრის 15-დან

დილის 10 საათ. ტფილისის ცენტრალურ ფოსტის კანტორაში დაიწყება

## საჯარო ვაჭრობა

და გაიყიდება ვადა გასულ ჩაუბარებელ ამანათებიდან ამოღებული ნივთები.

ფოსტის კანტორის უფროსი ლიპარტიანი.

1025 3—3

## სალოდლის საბაჟო

აცხადებს,

საყოველთაო საყურადღებოთ რომ ა./წ. 15 დეკემბრისთვის დანიშნულია მის მიერ ტფილისის საბაჟოში **საჯარო ვაჭრობა**

სალოდლის საბაჟოს კონტრაბანდულ საქონლისა, სადაც გაიყიდება სახელდობრ: ასანთის კაჟის ქვები, ფართლეულობა, ფოტოგრაფიული და საგალანტერიო საქონელი და სხვა. 1033 1—1

## იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო სამეურნეო ბანკის (იმერბანკის)

ქ. ზესტაფონში.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 9 დეკემბერს ხსენებულ ბანკის წესდება დაამტკიცა. ძირითადი თანხა ბანკისა პირველ ხანად არის განსაზღვრული 3 (სამი) მილიონ მანეთით, თითო აქცია ღირს ათასი (1000) მან., ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

**ხელის მოწერა მიიღება** ამა დეკემბრის 15-დის **ქ. ზესტაფონში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში** და ხელის მოწერისთანავე უნდა იქნეს შემოტანილი თითო აქციაზე ღირებულის ნახევარი (500 მან.) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან. აქციაზე.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ

## აქციონერთა პირველი დამფუძნებელი კრება

დანიშნულია ამა წლის 19 დეკემბერს ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბინაზე დღის 12 საათზე.

განსახილველი საკითხებია:

1) საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
2) 1921 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
3) ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასივის მიღება.
4) არჩევნები საბჭოსა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და 5) მიმდინარე საკითხები.

4186 3—3

## ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

17 დეკემბერს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება **ბეთჰოვენის** დაბადების **150 წლის** თავის აღსანიშნავათ.

## სიმფონიური კონცერტი დილა

კონსერვატორიის დირექტორის **ნ. ნ. ჩერეპნინის ხელმძღვანელობით.**

კონცერტის დაწყების წინ სიტყვას წარმოსთქვამს **ს. მ. ჩემოდანოვი**

პროგრამაში შედის: უვერტიურა, ელეონორა № 3, მეორე სიმფონია, მეხუთე ფორტოპიანოს კონცერტი და კონცერტი ვიოლინოსათვის, არია: „Ah perfido sperginro“.

დასაწყისი $12^1/_2$ ს. დღისით.

ბილეთები გაიყიდება კონსერვატორიაში.

4210 1—1

## ტფილისის სადარაჯო ათასეული

აცხადებს,

ათასეულის ბინაზე (ანტონოვის ქუჩა) მ./წ. დეკემბრის 15-ს დილის 11 საათზედ დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

ორი დაწუნებულ ცხენის, 7 დიდი სპილენძის ქვაბის და სამი საწერი მანქანის გასასყიდად. 4208 1—1

### ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

**გზათა დეპარტამენტისადმი.**

10 დეკემბერი, 1920 წ., № 127.

**თანახმად** რესპუბლიკის მთავრობის ა. წ. 4 დეკემბრის დადგენილებისა მე დამევალა შინაგან საქმეთა უწყებასთან ერთად გზათა უწყების გამგებლობაც და ა. წ. 6 დეკემბრიდან შევუდექი გზათა მინისტრის მოვალეობის აღსრულებას, რასაც ვაცხადებ სახელმძღვანელოდ.

შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრი **ნ. რამიშვილი.**

**სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.**

9 დეკემბერი, 1920 წ., № 484.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის მოხელეთ ზაქარია ივანეს ძე ყიფიანი ა. წ. 9 დეკემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი **კ. ანდრონიკაშვილი.**

—

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

2 ნოემბერი, 1920 წ., № 110.

**დათხოვნილნი არიან:** სრულიად სამსახურიდან, სამსახურში დარჩენაზედ უარის განცხადებისა გამო.

**ბათუმის საბაჟოში:** საწყობის ზედამხედველის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ალ. თევდორაძე ა. წ. 19 ოქტომბრიდან; მდივნის უფროსი თანაშემწის თანამდეაობის დროებით აღმასრულებელი ვალ. ჯანელიძე ა. წ. 18 ოქტომბრიდან; როგორც ნებით დაქირავებულნი გემთა ზედამხედველის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ბარ. ლოლოზერიძე და მოლარის უმცროსი თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი მიხ. ჯიბლაძე ა. წ. 20 ოქტომბრიდან ორივენი; დროებით კანცელარიის მოხელენი არჩილ შენგელაია, ბერძენიშვილი, აკ. ასათიანი, პეტრე დიასამიძე, აბაზ დიასამიძე, ალი ეფენდი ჩიჯავაძე ა. წ. 1 ოქტომბრიდან იმავე საბაჟოს გემთა ზედამხედვლის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი ხარიტონ მახარაძე სრულიად სამსახურიდან, უნებართვოთ სამსახურისათვის თავის დანებების გამო. ა. წ. 15 ოქტომბრიდან. ნამდვილს ხელს აწერს: ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს საბაჟო ნაწილის უფროსი ბ. მიქაძე, და მდივნის მაგ. ქსენია მგალობლიშვილი.

10 ნოემბრი, 1920 წ., № 113.

**გადაყვანილი არიან:** ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედვლის უმცროს თანაშემწე დავით მგალობლიშვილი—და ყაზბეგის საბაჟოს გამგის თანაშემწე მალანია ერთი მეორეს ადგილზე, საქმის სარგებლობის გამო; ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედვლის უმცროსი თანაშემწე ჩხიკვიშვილი—ფოთის საბაჟოს საწყობის ზედამხედვლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად, სამსახურის საქმის სარგებლობისათვის; ოჩემჩირის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი არქიპო კაკაბაძე—სოხუმის საბაჟოს ბუჰალტრის უმცროსი თანაშემწედ, სამსახურის საქმის სარგებლობისათვის; სოხუმის საბაჟოს ბუჰალტრის უმცროსი თანაშემწე ს. კაკულია ოჩემჩირის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

ზემოაღნიშნულნი პირნი გადაყვანილნი არიან თავიანთ თანამდებობებზე ამა წლის 1 ნოემბრიდან.

16 ნოემბერი 1920 წ., № 114.

**დანიშნულნი არიან:** ტფილისის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს გემთა ზედამხედვლის უმცროს თანაშემწე ნ. ბოკერია—საწყობის ზედამხედვლის უმცროს თანაშემწედ:

**ბათუმის საბაჟოში:** ვარანცოვკის საბაჟოს გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი აკაკი ჟუნტი—საწყობის ზედამხედვლის უმცროს თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად:

**სოხუმის საბაჟოში:** ამავე საბაჟოს ბუჰხალტრის უმცროსი თანაშემწე ათანაზევიჩი—საწყობის ზედამხედვლის თანაშემწედ; რეგისტრატორი მიკამბა—საწყობის ზედამხედვლის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად; ფოთის საბაჟოს რეგისტრატორის აგრაფინა ჭიჭინაძე—რეგისტრატორათ:

**ვარანცოვკის საბაჟოში:** ტფილისის საბაჟოს საწყობის ზედამხედვლის უმცროს თანაშემწე ფანიაშვილი—გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად:

**ყაზბეგის საბაჟოში:** ტფილისის საბაჟოს რეგისტრატორი ლუდუშაური—რეგისტრატორათ:

ზემოაღნიშნულნი პირნი ინიშნებიან თავიანთ თანამდებობებზე ამა წლის 1 ნოემბრიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინ. მოვალ. აღმ. **ხ. ავალიანი.**
საბაჟო ნაწილის უფროსი **ბ. მიქაძე.**

**არა ოფიციალური განყოფილება.**

# გვარდიის დღე ტფილისში.

12 დეკემბერი, სახალხო გვარდიის დღე ბრწყინვალედ ჩატარდა ტფილისში, წინა სუსხიანი ღამე შედარებით თფილმა დილამ შესცვალა, თითქოს ბუნებამაც კი იგრძნო ამ ისტორიული დღის სიძლიერე. 9 საათზე უკვე სავსე იყო მთავარი ქუჩები დღესასწაულში პასიურად მონაწილე ხალხით. 10 საათზე კი დაიწყო დენა სხვა და სხვა დარგისა და ორგანიზაციის მუშეთა. ვის არ ნახავდით აქ: რკინის გზის თუ სახელოსნოს მუშებს, დიდს, პატარას, ქალს, კაცს, ღარიბს, მდიდარს დღეს ყველა შეერთებული იყო ყველა ერთსულოვნად იღებდა მონაწილეობას დღესასწაულში ყველას აქ მოეყარა თავი, მოდიოდენ მწყობრად, წითელი დროშებით და სხვა და სხვა რევოლიუციონური პლაკატებით: „სახალხო გვარდია ჩვენი მხსნელია“, „გაუმარჯოს ფრონტს“, „გაუმარჯოს ჩვენს მამაც ჯარს“ და სხვა. წესრიგი ყველგან ჩინებულია; სახალხო გვარდია და ჯარი, გმირულად გამოიყურებოდა, თვითეული მათგანი საუკეთესო შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველზე, მაგრამ ყველაზე მეტი ყურადღება იუნკრებმა მიიპყრეს; თვითეული მებრძოლის სახეზე ამოიკითხავდით: ნუ გეშინიათ საფრთხის, სანამ ჩვენ ცოცხლები ვართ საქართველოს სიკვდილი არ უწერიაო. და მართლაც გვარდიის დღესასწაულმა ერთხელ კიდევ ღრმად დაგვარწმუნა, რომ ჩვენ შევგწევს ძალა ჯეროვანი პასუხი გავსცეთ ყველას ვინც კი გაბედავს და ჩვენს მიწა წყალზე მტრულად ფეხს შემოადგამს; ამის საბუთს გვაძლევს სახალხო გვარდიის და ჯარის გმირული სული, შეგნება თავის მძიმე მოვალეობისა, და თავდადება თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოსადმი; 12 დეკემბერი ეს ერთგვარი დემონსტრაცია იყო ჩვენი რევოლიუციონურ სულის კვეთების და შეიარაღებულთა გმირული სულის ერთხელ კიდევ დასამტკიცებლათ. ამ ისტორიულ დღის 12 დეკემბრის სიდიადეს მტერსაც კი არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს.

12 საათზე უკვე მოთავდა პროცესიაში მონაწილეთა დენა თავისუფლების მოედნიდან ვიდრე ოლღ. ქუჩამდე; ლამაზად ჩამწკრივებული გვარდია და ჯარი მოუთმენლად ელიან მთავრობის გამოსვლას და აა, გამოჩნდა მთავრობის მთელი შემადგენლობა და ისმის დაუსრულებელი ტაშის გრიალი, „გაუმარჯოს და ვაშას“ ძახილი. მთავრობამ ჩამოუარა ჩვენ შეიარაღებულ ძალებს; მთავრობას ახლდა აგრეთვე ჩვენი საყვარელი სტუმარი, თანსაერთაშორის სოციალიზმის ძველი ბელადი კ. კაუცკი; მოხუცს ნახულის გამო სახე საამურად უცისკროვნდებოდა.

დიდი უმეტესობა ჩვენი სახალხო გვარდიისა და ჯარისა ფრონტზეა, მაგრამ სამხედრო ნაწილების სამხედრო ცერემონიალის წესით საგანგაბოთ გაკეთებულ ესტრადის წინ გავლამ მაინც თითქმის ორ საათს გასტანა; შემდეგ კი ესტრადის წინ მოზღვავებულ ხალხს მოკლე სიტყვებით მიმართეს ნ. ჟორდანიამ, ალ. ლომთათიძემ და ვ. ჯუღელმა მოგვყავს მოკლეთ მათი სიტყვების შინაარსი.

**ნ. ჟორდანია.**

ნ. ჟორდანიამ მოკლეთ დაახასიათა ის მდგომარეობა და პირობები, რომელიც იყო 3 წლის წინეთ ტფილისში, როცა მუშათა რაზმმა არსენალი ჩაიგდო ხელში და სხვათა შორის სთქვა:

სამი წლის წინად ქ. ტფილისი ორ ბანაკად გაიყო. ერთ მხარეზე იდგა შეიარაღებული ძალა, ჯარის-კაცები, მეორე მხარეზე კი შეკავშირებული ტფილისის მუშათა კლასი. ეს შეიარაღებული ძალა უდრიდა 20 ათასზე მეტ ჯარის-კაცს. აი ამ ძალას, რომელიც გატაცებული იყო ბოლშევიზმით, უნდოდა ტფილისის დაპყრობა და თავის ჭკვაზე წაყვანა ქვეყნის ბედ-იღბალისა მაგრამ ამ ძალის წინაალმდეგ გამოვიდა ტფილისის შეიარაღებული მუშათა კლასი. და აი ამ ორ ძალას შორის მოხდა კონფლიქტი.

რა ძალა ჰყავდა მაშინ მუშათა კლასს?

ძალიან მცირე: სულ 250 მუშა იყო შეიარაღებული. აი ეს 250 კაცი წავიდა არსენალისაკენ, რომ ლსაც 20 ათასი ჯარის კაცი იცავდა. მუშებმა მიუხედავად ასეთი მცირე ძალისა არსენალი აიღეს (ტაში), გამოიტანეს იარაღი და შექმნეს ის მუშათა გვარდია, რომელიც დღეს დღესასწაულობს თავის არსებობის 3 წლის თავს.

როგორ მოხდა ის, რომ ასეთმა მცირერიცხოვანმა მუშათა რაზმმა დაამარცხა ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარი?

ეს მოხდა ასე: მუშათა კლასის მორალურმა ძალამ გასტეხა 20 ათასი ჯარისკაცი. მორალური ძალა, ცხადია, თუ მისკენ არის სიმართლე, გასტეხს ყოველგვარ ძალას.

აი ამის შემდეგ 3 წელი შესრულდა.

ის ჯარები ტფილისიდან თავის სახლში წავიდნენ. ახლა ისინი აქ არ არიან.

მას შემდეგ, ამ სამი წლის განმავლობაში ჩვენ გვქონდა ომები და სხვა და სხვა ფრონტები. და თქვენ იცით, რომ დიდი ნაწილი გვარდიისა დღესაც არ არის აქ. ფრონტებზე სდგანან და იცავენ მტრებისაგან ქვეყნის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას (ტაში). ჩვენი მტრები ფიქრობენ, რომ ჩვენ შიგნიდან დავირღვევით. მაგრამ მათ იმედებს მუდამ გავაცრუებთ. საქართველოს დემოკრატია, ხალხი იქნება მთლიანი, როგორც შიგნით, ისე გარეთ, ფრონტებზე და ყოველგვარ მტერზე გაიმარჯვებს (ტაში, ვაშა).

მაშ უსურვოთ ჯარსა და გვარდიას ისეთივე გამარჯვება, როგორც ისინი იმარჯვებდნენ მტრებზე ამ 3 წლის განმავლობაში (ტაში).

გაუმარჯოს სახალხო გვარდიის წინამძღოლს მთავარ შტაბს (მხურვალე ტაში).

**ალ. ლომთათიძე.**

მოქალაქენო!

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელით მოგილოცავთ დღევანდელ ბრწყინვალე დღესასწაულს.

გვარდიის დღე ყველა დღესასწაულზე საყურადღებო და მნიშვნელოვანი დღესასწაულია.

გვარდიის დღე თავისი სიდიადით წმინდა ეროვნული დღესასწაულის სახეს იღებს და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. თქვენ აქ, ჩვენი დემოკრატიის ბელადმა ნოე ჟორდანიამ მოკლეთ გითხრათ თუ რა მდგომარეობაში ვიყავით ჩვენ 3 წლის წინ. მე გეტყვით, რომ სახალხო გვარდია არ ყოფილიყო, მაშინ ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრება და უკანასკნელის მიერ ნდობით აღჭურვილი სოციალისტური მთავრობა ვერ შესძლებდნენ დამშვიდებით მუშაობას. თუ დამფუძნებელი კრება დამშვიდებით ამუშავებს ხალხისათვის სასარგებლო კანონებს, ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენმა დემოკრატიამ წარმოშვა ისეთი ძალა, რომელიც იარაღით ხელში უშიშარ დარაჯათ უდგას ჩვენს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობას და მოღვაწეობას.

დღეს დამფუძნებელმა კრებამ უნდა გააკეთოს ის, რისთვისაც ის მოწოდებულია. მან უნდა შეიმუშავოს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია. ის უკვე შეუდგა ამ მუშაობას და თქვენ იცით, მოქალაქენო, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კონსტიტუციას. კონსტიტუციას გარდა შინაური მდგომარეობისა შეუძლია განამტკიცოს ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობაც. ჩვენი გვარდიის და ჯარის დამცველობით ჩვენ განვაგრძობთ ამ მუშაობას და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყანა გვარდიის და ჯარის შემწეობით კვლავ დააბრწევს თავს იმ მდგომარეობას, რომელიც ამ ჟამად არის შექმნილი და დაბრუნდება ფრონტიდან ისე, როგორც არა ერთხელ და ორხელ დაბრუნებულა გამარჯვებული შარავანდედის და ძლევა მოსილობის გვირგვინით შემკული და ჩვენს ხალხს საშუალება მიეცემა მედგრათ და შეურყევლად გასწიოს წინ და გაიკაფოს გზა მომავლისაკენ და დაამკვიდროს ის ნანატრი წესწყობილება, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს სახალხო გვარდიას და ჯარს (ტაში).

**ვალიკო ჯუღელი.**

ამხანაგებო! დღეს არის დღესასწაული მთელი საქართველოს მშრომელი კლასისა და მასი მეკობრეებისა. ეს არ არის მარტო სახალხო გვარდიის დღესასწაული, ვინაიდან სახალხო გვარდია ღვიძლი შვილია მშრომელი ხალხისა.

სახალხო გვარდია ძლიერი იქნება მაშინ, როცა მშრომელი კლასი მას სავსებით შეიყვარებს. და სახალხო გვარდია, თუ საჭიროება მოითხოვა დაამტკიცებს თავის სიყვარულს ხალხისადმი.

ჩვენ ამ 3 წლის განმავლობაში მრავალი მტერი დავგსხმია თავს და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ პირველად ჩვენ გვეშიშვლოს ხმალი, რომ ჩვენ იქით ვინმეს დავსხმოდეთ თავს.

ჩვენ მუდამ მშვიდობიანობის მომხრე ვიყავით, მაგრამ ჩვენს გარშემო იკრიბებოდნენ ძალები, რომელთაც უნდოდათ ჩვენი დაპყრობა და კვლავ მონობაში ჩაგდება. და როდესაც ისინი იარაღს მოკიდებდნენ ხელს და დაგვესხმოდნენ, ჩვენ მათ იარაღითვე უპასუხებდით და მუდამ ვამარცხებდით.

ჩვენ ბევრჯერ გვყოლია ძლიერი მტერი, მაგრამ ის ჩვენ სასტიკად დაგვიმარცხებია. ჩვენი დაპყრობა უნდოდა ოსმალეთს, როცა მას გვერდში ედგა ძლიერი და გამარჯვებული გერმანია, მაგრამ ვერ შესძლო, ჩვენ ვერაფერი ავიყო იმ ანარქიამაც, რომელმაც ასე დაანგრია რუსეთი. ჩვენი დაპყრობა ვერ შესძლო ვერც ერთ დროს ძლიერმა დენიკინმა. და ახლა ჩვენს საზღვრებთან კვლავ იკრიბებიან მტრები, მაგრამ მათ წინაალმდეგ ირაზმება ჩვენი სახალხო გვარდია და ჯარი. უდიდესი ნაწილი ჩვენი გვარდიისა ფრონტებზე სდგას. აქ მხოლოდ თქვენ მცირედი ნაწილი იხილეთ. თუმცა სიცივე და საშინელი ყინვაა, მაგრამ ვერც ერთ დეზერტირს ფრონტზე ვერ ნახავთ (მხურვალე ტაში).

ჩვენი გვარდია და ჯარი არასოდეს არ მოისურვებს სხვის დაპყრობას, მაგრამ, ვინც ჩვენს დაპყრობას მოისურვებს მას ჩვენს საზღვრებთან გაეთხრება სამარე (ტაში).

თუ ჩვენს საზღვრებთან მყოფი მტრები ხმალს იშიშვლებენ, ჩვენ დამხადებული გვაქვს ხმლები და ან დავიღუპებით და ან გავიმარჯვებთ (ერთსულოვანი ტაში).

ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს მთავრობა დაემსგავსება ადერბეიჯანის ან სომხეთის მთავრობას (ისმის „ვაშა“, „ტაში“).

ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენი მთავრობა, რომლის სათავეშია ამხ. ნ. ჟორდანია (ნ. ჟორდანიას ხსენებაზე ხალხმა იგრიალა ტაშით და გაისმა ხმები: გაუმარჯოს ჟორდანიას, ვაშა) ისე მუხანათურად მოექცევა ხალხს, როგორც ადერბეიჯანის და სომხეთის მთავრობები მოიქცნენ (ტაში).

ჩვენ ომი არ გვინდა, მაგრამ თუ ომი მოგვახვიეს თავს, მაშინ კიდევ შეგვიყვარდება ომი, შეგვიყვარდება გამარჯვება. და ჩვენ არა მარტო შევიყვარებთ ამ გამარჯვებას, არამედ კიდევაც გავიმარჯვებთ. და ეს ჯარები, რომელნიც ბევრს ლაპარაკობენ თავის სიწითლეზე აქ იპოვიან თავის სამარეს და ეს იქნება უკანასკნელი დამარცხება წითელი, თუ ყვითელი იმპერიალიზმისა (ტაში).

გაუმარჯოს ჩვენს თავდაცვას,

გაუმარჯოს, თუ ვინმე დაგვესხმება თავს, ჩვენს მუდმივ გამარჯვებებს. (ტაში).

—

ღამით მთელი ტფილისი გაჩირაღდნებული იყო. სასახლე, მთავრობის და მუშათა სასახლეები, ქალაქის თვითმართველობა, სახელმწიფო თეატრი, ერობათა ცენტრის შენობება და სხვა დაწესებულებანი ლამაზი ხვეულებით იყო მორთული და ელექტრონის ფერადი სინათლით გაჩაღებული. ყველა თეატრსა და გასართობებში გამართული იყო საღამოები, სადაც დამფუძნებელ კრების წევრებმა გააკეთეს მოხსენებები მომენტის შესახებ. ქალაქში მხიარული მოძრაობა 1 საათამდის არ შეწყვეტილა.

# საბჭოთა რუსეთში

**სემიონოვის რაზმის დაშლა.**

საბჭოთა რუსეთის გაზეთების გადმოცემით ციმბირში ატამან სემიონოვის რაზმის სრული ლიკვიდაცია მომხდარა. რაზმის ლიკვიდაცია გამოწვეულია როგორც უდისციპლინობით ისე უსურსათობის გამო.

**მახნო ისევ იბრძვის.**

მახნო ერთ დროს საბჭოთა სარდლობას შეუთანხმდა ვრანგელის საწინააღმდეგო ბრძოლაში მაგრამ დღეს მახნო ისევ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ აგროვებს ძალებს და სასტიკი წინააღმდეგობით უნდა შეებრძოლოს ბოლშევიკებს.

**სურსათ-სანოვაგის გაჭირვება.**

საბჭოთა მთავრობა ისევ დიდ კრიზისს განიცდის უსურსათობით. საშინელ ეკონომიურ არევ-დარევაში საბჭოთა მთავრობას თავ გზა ებნევა და ყოველ დღეს უკიდურეს ზომებს მიჰმართავს. გამოცემული ბრძანებები, სანოვაგის და სურსათის რეკვიზიციები უფრო ართულებს ქვეყნის მდგომარეობას და აუტანელ კატასტროფაში აგდებს.

**პეტლიურას მოქმედება.**

პეტლიურამ წინ წაიწია და თავის რაზმით უკვე გადავიდა პოლონეთის ტერიტორიაზე. პოლონეთის მთავრობამ პეტლიურა და მისი რაზმები გამოაცხადა ტყვედ და ქელცში უპირებენ გადასახლებას. პოლონელებმა ამას გარდა დასავლეთის ფრონტზე ბალახოვიჩის არმია სრულიად განაიარაღა და დაქსაქსა. სარწმუნო წყაროების მიხედვით პოლონელები ახალ ძალებს იკრებენ თავის გარშემო.

(„ვ. გ.“)

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**ავტონომიას მინიჭება მთის რესპუბლიკას.**

მთის რესპუბლიკას საბჭოთა მთავრობამ ავტონომია მიანიჭა. ეს ამბავი მოხდა დიდი ზეიმით კავკავის თეატრში. თავმჯდომარეობდა კვირკველია. ჯუღაშვილმა-სტალინმა წარმოსთქვა სიტყვა. მან თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია, რომ მთის რესპუბლიკას შინაურ საქმეების გასაძღოლად მიენიჭოს ავტო-

ნომიური მართველობა. ვინაიდან მთიელნი ჯერ კულტურის პირველ საფეხურზე დგანან—ისინი სასოფლო მეურნეობის დარგს ვერ მოუვლიან და ამის მოწესრიგებას ისევ საბჭოთა რუსეთი კისრულობს. დანარჩენ საქმეებში მთიელნი თავისუფალნი არიან თუ მათ უნდათ შარიატი—დაე იყოს შარიატი! ასე ათავებს თავის სიტყვას ჯუღაშვილი-სტალინი.

**ინგუშელთა ანბანი**

ნაზრანოვის საოლქო რევკომის სახალხო განათლების სპეციალურმა კომისიამ გამოიმუშავა პროექტი ინგუშელთა ანბანის შესადგენად. ანბანს დაედება საფუძვლად ლათინური შრიფტი.

**მოძრაობა სტავროპოლის გუბერნიაში.**

ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ, რომ სტავროპოლში გლეხთა შორის ბალშევიკების წინაამდეგ თანდათან აჯანყებები და გამოსვლები ხშირდება. არევდარევის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მცხოვრებთ მოსვენება აქვთ დაკარგული რეკვიზიციებით და სხვა და სხვა ბრძანებებით, რომელსაც ბალშევიკები გზა და გზა ფანტავენ. („ვ. გ.“)

## საბჭოთა სომხეთში

**დაშნაკცაკანების დევნა.**

დაშნაკცაკანების მთავრობამ თვისი ადგილი დელიჟანის რევკომს დაუთმო იმ იმედით, რომ კომუნისტების და მათ შორის მოხდებოდა შეთანხმება და ურთიერთის ლოიალობა, მაგრამ დაშნაკცაკანებს იმედები სრულიად გაუცრუვდათ. პირველ ხანში კომუნისტები ლმობიერი თვალით უყურებდნენ სომხების დაშნაკცაკანების პარტიის წევრებს, მაგრამ მალე კომუნისტებმა დაშნაკცაკანებს სასტიკად დაუწყეს დევნა. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან რომ მემარჯვენე დაშნაკცაკანებიდან ბევრი დაპატიმრებულია და როგორც ხმები დადის ბევრიც უკვე დაუხვრეტიათ.

**რა აზრისაა ევროპა საბჭოთა სომხეთის შესახებ.**

ერთ-ერთ უცხო სახელმწიფოს დიპლომატს საბჭოთა ძალა-უფლების დამყარების შესახებ სომხეთში შემდეგი განუცხადებია: სომხეთში მომხდარი გარდატეხა ძალდატანებითი ხასიათისა იყო, მოხდა არა შინგნიდან, არამედ გარედან. სომხეთის ხალხს უნდოდა თვისი დამოუკიდებლობის განმტკიცება. სომხეთიდან გამოგზავნილი დელეგაცია ევროპაში სულ იმის ცდაში იყო, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს სომხეთის დამოუკიდებლობა ეცნოთ იურიუდიულად, მიეღოთ ხალხთა ლიგაში, დაეცვათ სომხეთის დამოუკიდებლობა და მათი ინტერესები. სჩანს აქ საქმე სულ სხვანაირად ყოფილა. სომხეთის ხალხს ზურგიდან ჩასცეს მახვილი და თავისივე ხელით თავი მოსჭრეს. მოკავშირეებმა სომხეთში მომხდარ გარდატეხას უნდა გაუწიონ ანგარიში და სერიოზული ყურადღება მიაქციონ.

(„გ.“).

## შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

უკანასკნელ დროს გამოირკვა, რომ უცხოეთის ქვეშევრდომები, რომელნიც ჩვენს ტერიტორიაზე დროებით იმყოფებიან, მონაწილეობენ პოლიტიკურ პარტიებში და ელტვიან რესპუბლიკაში არსებული წყობილების დამხობას. თანახმად დამფუძნებელი კრების 1919 წ. 21 ნოემბრის დეკრეტისა, ვაცხადებ, რომ გაცემულია ბრძანება ყველა მსგავს უცხოელთა რესპუბლიკის საზღვრებიდან გადასახლების შესახებ, ხოლო მათ მიერ განთავისუფლებული ბინები გადაეცემა შრომის სამინისტროსთან არსებულ საბინაო კომისიას უბინაო მუშათა შორის გასანაწილებლათ.

## დამფუძნებელ კრებაში

— დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიამ დაადგინა შეუდგეს დაუყონებლივ აფხაზეთის ავტონომიის მთავარ პრინციპების და საფუძვლების დამუშავებას. ავტონომიის პროექტი დროებით წესდების სახით უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას განსახილველათ ერთ ერთ მახლობელ სხდომაზე.

— დამფუძნებელი კრების სხდომა, რომელიც დანიშნული იყო დეკემბრის 12 რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ კამათის გაგრძელებისათვის სახალხო გვარდიის დღესასწაულის გამო შემდეგისათვის გადაიდო.

— დეკემბრის 11 დილით ადრე დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი გაემგზავრა ფრონტზე ჯარისა და გვარდიის ნაწილების დასათვალიერებლად.

— დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სახელზე ხალილ აღა ჯაფარ-ოღლის ხელის მოწერით ბათომიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მოვიდა: მამადიდის რაიონის საერთო ყრილობამ მოისმინა ი. რამიშვილის და მიქაბერიძის მოხსენებები, რის შემდეგაც ყრილობამ დაადგინა მიესალმოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას და აღუთქვას მას სრული დახმარება.

## მიწად-მოქმედების სამინისტროში.

მიწად მოქმედების სატყეო განყოფილებაში ტყის მწარმოებელ კიკნაძისაგან შემოვიდა შუამდგომლობა რათა მას გადაეცეს საექსპლოატაციოთ ვაგანის აგარაკი 5 წლის ვადით. თავის შუამდგომლობაში კიკნაძე აღნიშნავს რომ მას განზრახვა აქვს ფართო ნიადაგზე დააყენოს შეშის, შპალების და სხვათა წარმოებანი.

კიკნაძეს განზრახული აქვს დამზადებულ მასალის მესამე ნაწილი გადასცეს მთავრობას განკარგულებისათვის. სატყეო განყოფილებამ ასეთი წინადადება მიწად მოქმედების სამინისტროსათვის მისაღებად ჩასთვალა. ამ ჟამად მიწად მოქმედების მინისტრის ნებართვით მუშავდება საკონცესიო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც მთავრობას გადაეცემა.

მიწად მოქმედების სასოფლო სამეურნეო განყოფილებამ მოახდინა მესაქონლეობის გამოკვლევა თიონეთისა, გორისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებში. გამოკვლევა მიენდო ორ ჯგუფს, რომელთა მეთაურებათ ითვლებიან მესაქონლეობის სპეციალისტები, აგრონომი კულლინოვი და მაკაროვი. მიუხედავათ გამოკვლევისათვის არსებულ მძიმე პირობებისა, მიუხედავათ დიდი სიცივეებისა, თიონეთის და თელავის მაზრებში გმმოკვლევა უკვე დასრულდა. გორის მაზრაში ასეთი გამოკვლევა დიდი ყინვების გამო გაზაფხულამდის შეჩერდა. ამ ჟამად გორში ყინვები რეომიურით 18 გრადუსამდე ადის.

## მუშათა მაგიდა

მუშათა მაგიდის კონტროლიორებს არა ერთხელ შეუმჩნევიათ, რომ ჯგუფებისა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი ხშირათ არ აძლევენ მუშებსა და მოსამსახურეებს სრულ ულუფას და მიზეზათ ასახელებენ იმას, თითქოს მუშათა მაგიდა მხედველობაში არ იღებდეს სურსათ-სანოვაგის წონაში მოკლებასა და გამოშრობას. მუშათა მაგიდა კატეგორიულად აცხადებს, რომ იგი იღებს რა მხედველობაში პურისა და სხვა სურსათ-სანოვაგის წონაში მოკლებასა და გამოშრობას, ზედმეტად იძლევა სათანადო რაოდენობის სურსათ-სანოვაგეს და ამიტომ მუშებმა და მოსამსახურეებმა თავისი ულუფა სავსებით უნდა მიიღონ. მუშათა მაგიდა თხოულობს ყველა უკანონობის შესახებ აცნობონ მას წერილობით და იგი ამ გვარ ბოროტ-მოქმედებასთან საბრძოლველად სათანადო ზომებს მიიღებს.

## პრემიალური დაჯილდოება

მთავრობამ დაადგინა: 1) დამტკიცდეს გზათა მიმოსვლის უწყებისათვის პრემიალურ სისტემის შემოღება სექტემბრის 1-დან. პრემიალური სისტემა დროებით გავრცელდეს გზათა მიმოსვლის უწყების იმ დაწესებულებებზე, რომლებსაც ფაბრიკა ქარხნის ხასიათი აქვთ, გზათა მიგოსვლის დეპარტამენტს ეძლევა წინადადება დაამუშაოს და წარადგინოს წესები პრემიალურ დაჯილდოებისა იმ მუშებისა და მოსამსახურეების შესახებ, რომლებიც უნდა იქნენ დაჯილდოებულნი გაძლიერებულ მუშაობისათვის. 2) დროებით იქნეს შემოღებული პრემიალური სისტემა თოფხანის სატეხნიკო, ადმინისტრატიულ და კონტორის პერსონალისათვის. ჯილდო ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა მიეცეს იმ პირებს, რომლებიც უწყობენ ხელს საქმის დაჩქარებას. ჯილდოს გაწესრიგება თვეში ერთხელ ხდება, ჯილდოს რაოდენობას ყოველ ცალკე შემთხვევაში აწესებს საგ ნგებო კომისია, რომელსაც ადმინისტრაცია ნიშნავს. პრემიალური ჯილდო თოფხანის სატეხნიკო ადმინისტრატიულ და კონტორის პერსონალს უნდა მიეცეს, ნოემბრის 1-დან, იმ სამუშაოსათვის, რომელიც დაიწყეს მათ მიმდინარე საბიუჯეტო წელში და პრემიალურ სისტემის შემოღების შემდეგ დაასრულეს, ე. ი. დაასრულეს ნოემბრის 1-ის შემდეგ. ყოველი დამზადებული საგანი უნდა შეფასდეს 1914 წ. დაწესებულ ფასების მიხედვით, და უნდა გამრავლდეს 200.225 კოეფიციენტზე, რაც შეადგენს საშუალო შრომის ხელფასს 1914 წ. და დღევანდელ დღის შორის. ამ შეფასებას ახდენს საგანგებო შემფასებელი კომისია.

## სასურსათო ცხოვრება

**პურის ულუფის გადიდება**

მუშათა მაგიდა დეკემბრის 13-დან ფიზიკურად მომუშავე მუშებს მისცემს პურის გადიდებულ ულუფას. მათ დღეში ერთი გირვანქის მაგიერ მიეცემათ გირვანქა ნახევარი პური. ქარხანათა კომიტეტებმა თვალყური უნდა ადევნონ პურის წესიერად განაწილებას ადგილობრივ. ამ ნიადაგზე მომხდარ ყველა გაუგებრობის შესახებ მუშათა მაგიდაში უნდა შეიტანონ წერილობითი განცხადებანი.

**კარტოფილის დარიგება**

ტფილისის მუშათა მაგიდა, რომელმაც ორი კვირის წინად ტფილისის ყველა მუშათა და მოსამსახურეს ხუთ ხუთი გირვანქა კარტოფილი დაურიგა სულზე, ამჟამად შეუდგა კარტოფილის მეორე პარტიის დარიგებას. დაარიგებენ სულზეხუთ გირვანქას: ფასი ისევ ძველი 20 მ. იქნება.

**კომბოსტოს დარიგება**

მუშათა მაგიდა არიგებს აგრეთვე სულზე ათ-ათ გირვანქა კომბოსტოს, ქირვანქას 5 მანეთად. დაიწყებს ხახვის დარიგებას. არიგებენ სულზე 5 გირვანქას ოც ოც მანეთად.

**შაქრის დარიგება**

მუშათა მაგიდა დეკემბრის 12-ს შეუდგება სულზე თითო გირვანქა შაქრის დარიგებას. შაქრის ფხვნილი ეღირება 35 მან., ნატეხი კი 100 მან. გირ. მუშებსა და მოსამსახურეებს შეუძლიათ მიიღონ, რომელიც მათ მოესურვებათ ფხვნილი თუნდ ნატეხი. ამას გარდა დარიგდება სულზე 1/8 გირ. ჩაი. ოჯახს ნახევარ გირ. მეტი არ მიეცემა. გირვანქა ჩაი 150 მ. ეღირება.

## მუნიციპალ. ცხოვრება

უკანასკნელი დადგენილებანი:

დაევალოს გამგეობას მოიწვიოს სპეციალისტები, რომელნიც კი შეიმუშავებენ გზების შეკეთების გეგმას და შეადგენენ ხარჯთ-აღრიცხვას.]

გზების კაპიტალურ რემონტის გამგეობა შეუდგეს გზების ნაწილობრივ შეკეთებას, რისთვის გამგეობამ დახარჯოს სათანადო თანხა ქალაქის სალაროდან. რაც შეეხება ფინანსიურ მხარეს კრებამ დაავალა გამგეობას მოიწვიოს მოქალაქეთა კრება გამოსაკვლევად იმისა თუ რამდენად დაეხმარებიან მოქალაქენი ამ საქმეში თვითმართველობას. კრებამ დაადგინა აგრეთვე აღძრულ იქმნას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა მიეცეს ქ. სიღნაღს გზების შესაკეთებლად დახმარება სესხის სახით.

— ს. ამირაღოვს ჩამოერთვას სახლი და გამოცხადდეს ის ქალაქის საზოგადო საკუთრებათ ქ. სიღნაღის მუშათა პროფესიონალურ კავშირების საჭიროებისათვის და მიეცეს მესაკუთრეთ საფასური 100.000 მან.

— ქალაქის მომავალ არჩევნებისათვის ქალაქი დაყოფილ იქმნას უბნებათ; საქმის სისრულეში მოყვანა დაევალოს ქალაქის მასწავლებლებს.

— მიენდოს გამგეობას გამოარკვიოს ქალაქის მამულების რაოდენობა, აღადგინოს თავისი უფლება ზოგიერთ უკვე დაჭერილ მამულებზედ და შეიმუშაოს გეგმა დასახლებისა. ამასთან ერთად კრებამ დაავალა გამგეობას მიაქციოს ყურადღება, რათა ქალაქის ნებადაურთველად ქალაქის ფარგლებში არ იყოს აშენებული შენობა უგეგმოთ.

— მიენდოს გამგეობას დააგიროს ნაწილი თრიმლისა ამერ-კავკასიის ბანკის სიღნაღის განყოფილებაში 200.000 მან. სესხის ასაღებათ ერთი თვის ვადით.

ამასთანავე კრებამ იქონია მსჯელობა, თანახმად თავმჯდომარის წინადადებისა, ქალაქის ტყავების დასამზადებლად დასამზადებელი ქარხნის მოწყობის შესახებ.

თათბირის შემდეგ, კრებამ ეს საკითხი გადასცა დასამუშავებლად კომისიას.

— განსახორციელებლად შესდგეს მოქალაქეთა სიები და სპეციალისტების მიერ შემუშავებული მუშაობის გეგმა.

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ“ 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხ. ავალიანი.

## წესდება

**ჭიათურის ბანკისა.**

**I. დაარსება და კაპიტალი ბანკისა.**

§ 1.

ამ წესდების საფუძველზე არსდება აქციონერული საზოგადოება, რომელმაც უნდა დააფუძნოს და მოაწყოს ქალ. ჭიათურაში სავაჭრო-სამრეწველო ბანკი სახელწოდებით „ჭიათურის ბანკი“.

**შენიშვნა:** ბანკის დამფუძნებელნი არიან: ალექსანდრე მიხეილის ძე დარახველიძე, კონსტასტინე დავითის ძე წერეთელი, იოსებ ხახულის ძე აბაშიძე, ისიდორე სოფრომის ძე ვარაზაშვილი, სოლომონ ექვთიმეს ძე წერეთელი, პლატონ სპირიდონის ძე მოდებაძე, კონსტანტინე პავლეს ძე თუმანიშვილი, ჯიბო იოსების ძე აბაშიძე, რომანოზ სიმონის ძე ანჯაფარიძე, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ჯაყელი, დომენტი ვასილის ძე ბახტაძე, მიხეილ ნესტორის ძე მასხულია, პორფილე ფილიპეს ძე თოფურია, სიმონ ზაქარიას ძე წერეთელი, ერეკლე გრიგოლის ძე დეკანოზიშვილი, ნიკოლოზ გაბრიელის ძე ოთხმეზური, ევსევი დავითის ძე თოდუა, მარკოზ იოსების ძე ფხალაძე, ნიკოლოზ იოსების ძე ჩხეიძე, ივ. ლაზარეს ძე თევზაძე და ვ. მ. გამყრელიძე.

§ 2.

ბანკის დაარსების შემდეგ ჭიათურაში საჭიროებისამებრ გამგეობა ნიშნავს კომისიონერებსა და კორესპონდენტებს რესპუბლიკის სხვა და სხვა ქალაქებში და საზღვარგარეთ.

§ 3.

ბანკის გამგეობას უფლება აქვს, აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებისამებრ და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ნებართვით, დაარსოს ბანკის განყოფილებანი იქ, სადაც საჭირო იქნება. თითეული განყოფილების სამართველოს მოქმედებათა სფეროს, შემადგენლობას და წესს განსაზღვრავს გამგეობა ამ წესდების მტკიცე საფუძველზე და უზრუნველყოფს განყოფილების ოპერაციებს მთელი თავის ძირითადი და სათადარიგო თანხითა და აგრეთვე თავის ყოველი სხვა ქონებითა.

აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებით და ფინანსთა მინისტრის ნებართვით გამგეობას უფლება აქვს განყოფილებათა სამოქმედო რაიონში დააწესოს სააგენტოები, რომელთაც შეუძლიანთ იმუშაონ წესდების მტკიცე საფუძველზე ამა განყოფილებათა ხარჯითა და ხელმძღვანელობით.

სააგენტოების მიერ წარმოებული ოპერაციები უზრუნველყოფილია ბანკის მთელი ძირითადი და სათადარიგო თანხით და აგრეთვე ყოველი მისი სხვა ქონებით.

§ 4.

ძირითადი თანხა ბანკისა განისაზღვრება პირველ ხანად 5,000,000 (ხუთი მილიონი) მანეთით. ეს თანხა დაყოფილია 5000 (ხუთი ათასი) აქციათ, თითო აქციის 1000 (ათასი) მანეთის ღირებულებით, შეიძლება გადიდებულ იქნას შემდეგ აქციების ახალი გამოცემით. ამ შემთხვევაში თითო აქციის ღირებულება წინანდელივე 1000 მანეთია. ეს გამოცემა შეიძლება მხოლოდ აქციონერთა საზოგადო კრების დადგენილებისა და ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

**შენიშვნა:** 1. პირველ დაწყებითი ბანკის თანხა 5,000,000 მან. განაწილდება დამფუძნებელთა შორის, რომელნიც § 1 შენიშვნაში მოხსენებულნი არიან იმათ უფლება აქვთ მოიწვიონ ამ საქმეში მონაწილეობის მისაღებად სხვა პირნი და დაწესებულებები და გადასცენ მათ ნაწილი აქციებისა.

**შენიშვნა:** 2. ძირითად თანხად იგულისხმება აქციების შესაძენად ნამდვილად შეტანილი ფული.


**განცხადებანი**

მინდობილობა № 2873 მიცემული ალექსანდრა ნიკოლოზის ასული სარქისოვის მიერ გრიგოლ ლიუდვიგის ძე სარქისოვის სახელზე დამოწმებული ტფ. ნოტარიუს ლუკომსკის მიერ გაუქმებულია. 4144 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 21 კაპიტო ბესარიონის ძე ადეიშვილის სახელზე, მიღებული ქუთ. სამხ. აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს 4096 3—3

დაიკარგა პასპორტი ვენიამინ ბარისის ძე ნეიმანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4165 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრისაგან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო საკრებულოდან—არსენ (იგივე სარიბეგ) გრიგორის ძე ტერ-ბარსეგოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4168 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3318 ტიგრან ალექსანდრეს ძე ბაგინოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4169 3—2

დაიკარგა კვიტანცია № 55494 ყოფილი რუსეთის სახელმწიფო ბანკის ტფილისის კონტორის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4171 3—2

დაიკარგა პასპორტი ნინო ალექ ანდრეს ასული ჩხეიძის სახელზე, მიღებული საჩხერის სოფ. კომისრისაგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4174 3—2

დაიკარგა პასპორტი № 7431 რუბენ ეფრემის ძე გოზეიანცის სახელზე, მიღებული ერევანში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4175 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი შედგენილი ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტ. 21 ოქტომბერს 1917 წ. № 2819 რესტრ. იაკობ მიხეილის ძე ბალდადიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4179 3—2

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული გორის კომისარიატიდან 1918 წ. ალექსანდრე კონსტანტინეს ძე ერისთავის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4180 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი, გონჩარნი ქ. № 14 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის შერმიზანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4166 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 2232 დავით ციციანოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4170 3—2

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიუ საზ. საწევრო წიგნაკი № 9130 მიხეილ ავლოხაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4159 3—2

დაიკარგა პასპორტი ლეონიდ ნიკოლოზის ძე ალექსიძის სახელზე, მიღებული საქართველოს მისიიდან ქ. ბაქოში 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4148 3—2

დაიკარგა პასპორტი ლიუსიკ გასპარის ასული პარსეგოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 4133 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა გიორგი კოტეს ძე სვანიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4108 3—3

დაიკარგა მოწმობა № 158 გიაშა მარდუხის ძე ბეილინის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4110 3—3

დაიკარგა პასპორტი ანა გრიგოლის ასულის შერემეტის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4119 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 1743 მკრტიჩ ოგანესის ძე ასლანიანცის სახელზე, მიღებული სომხეთის წარმომადგენლისაგან ბაქოში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4118 3—2

დაიკარგა პასპორტი მოშე ხაიმ იონათანის ძე აივაზაშვილის სახელზე, მიღებული გორის კომისრისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4111 3—3

დაიკარგა პასპორტი მარიამ ბარისის ასული ბისტოვის სახელზე, მიღებული ფოთის მილიციის სამართველოდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4158 3—3

დაიკარგა პასპორტი ნიკოლოზ რუბენის ნემოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4123 3—3

დაიკარგა პასპორტი № 4700, მიხეილ ალექსის ძე კოვალენკოვ-კოვალიოვის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4173 3—2

დაიკარგა პასპორტი № 450, კარაპეტ ხაჩატურის ძე ვოსკანიანცის სახელზე, მიღებული ტფილ. პოლიცეიმეისტერის სამართველოდან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4163 3—2

დაიკარგა პასპორტი № 295, გარეგინ აკოფის ძე მხითარიანცის სახელზე, მიღებული ბაქოს პოლიციმეისტერის სამართველოდან 1912 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4164 3—2

სააქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ საზოგადოება „კახეთი"-ს დაუკარგავს ღვინის გასატანი მოწმობის ფურცლები №№ 7957, 7958, 7959, 7960, რომლებიც 28 მაისიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 4167 3—2

დაიკარგა მიღებული 1917 წ. ტფ. რეალური სასწავლებლიდან ატესტატი № 574 და მოწმობა № 521 გიორგი ვაიჩესლავის ძე ადამოვიჩის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4148 3—2

დაიკარგა ტრამვაიზე მოგზაურობის მოწმობა სურათით № 1200, კოტე პეტრეს ძე შარვაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4149 3—2

ნალჩიანი აშოთა, ბალანაშვილი არჩილ, ბეკურაშვილი არჩილ, ხალათიანი ართავაზ, იავრიან მარტიროს, არუტუნიან ვაგან, პაპიკიან სარქის, ვაგან ფენარჯიანი, კონსტანტინე კუზანოვი, ოციან ლეონ, ბაბლოიანი სარქის, იკოპიან ლეონ, ცხვედაძე გიორგი აცხადებენ რომ მათ დაკარგეს პირადობის მოწმობანი, მიცემული ქალაქის სახელოსნო სასწავლებლიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. (უ.) 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ახალქალაქის (გორის მაზრა) ერობიდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გურგენ მელიქის ძე გალუსტოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4124 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ევდოკია ვლადიმერის ასული ნემოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4122 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი, სამოვოლნი (ერთობის უბანი) ქ., № 15, მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გ. გუმარიტოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4126 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული კავკაზში, სათადარიგო ჯარში გადარიცხვის მოწმობა, მიღებული კავკავის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან 1917 წ. და მეტრიკა პეტრე პავლეს ძე მრევლიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4127 3—2

დაიკარგა შეღავათიანი ბილეთები, მიღებულნი 1. კახეთის რკ. გზის სამმართველოდან და 2. საქ. რკინის გზის სამმართველოდან და ორი ხაზინის ბარათები სახლის ქირის შეტანის შესახებ დავით ტარიელის ძე ბაქრაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი თხინვალის ქ. № 5 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ქ. კუდრიავცევს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4114 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული სიღნაღის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პირადობის მოწმობა მიღებული ბაისუბნის თომა კიმოთეს ძე გოგოლაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4115 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ახალ ქალაქის (გორის მაზრა) ერობიდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. კარაპეტ მიხეილის ძე გალუსტოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4125 3—2

ფედოსი რევაზის ასული ჩახავა აცხადებს, რომ მის მიერ სამსონ რევაზის ძე ნაჭყეპიას სახელზე მიმდინარე 1920 წელში გაცემული სენაკის ნოტარიუსთან განცხადებული, რწმუნების ფურცელი გაუქმებულად ჩაითვალოს. 4177 3—2

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა პარუჩიკი ემილე ნაჭყეპიას სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4199 3—1

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის საექიმო ფაკულტეტიდან მიღებული მატრიკული № 1487 სარა ქრისტეფორეს ასული აბულაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 4200 3—1

დაიკარგა სამოცი აქციის დროებითი მოწმობა № 577 საქართველოს ცენტრალურ სავაჭრო სამრეწველო ბანკის მიერ გამოცემული მელიქსედეგ აპოლონის ძე მიქელაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4192 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი ისაკ გრიგოლის ძე ობუხოვსკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4187 3—1

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 30 ნიკოლოზ კინ. სარჩილავას სახელზე, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4195 3—1

დაიკარგა პასპორტი იაკობ მოსეს ძე ნამთალოვის სახელზე, მიღებული პოლიცმეისტრის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4188 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ლეონ აკოფას ძე აგამალოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4191 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1079 ალეკპერ ქერიმ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4193 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი ხაჩატურ სარქისის ძე ჩარიხჩიანცის სახელზე, მიღებული ახალციხის ქალაქის გამგეობიდან 1910 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4185 3—1

დაიკარგა პასპორტი იოსებ ოგანესას ძე ყაზაროვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან და სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4196 3—1

დაიკარგა წიგნაკი № 158 გიეშა მარდუხის ძე ბეილინის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4201 3—1

დაიკარგა ცენტრობანკის 40 აქციის ორი კვიტანცია, ჩეკის წიგნაკი და ფულის გასატანი წიგნაკი, ორი ცალი ხელშეკრულება დადებული სამხედრო სამინისტროსთან და სხვა და სხვა საბუთები, იაკობ ლუკას ძე სირაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4197 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან რეშტში და მეტრიკული მოწმობა ვარდო ოგანესის ძე აივაზიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4217 3—1

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1815 ოლღა ალექსანდრეს ძე ინჩიკოვის სახელზე, მიღებული მოსკოვის გრადონაჩალნიკისაგან 1913 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4213 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელები დამტკიცებულნი ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსის მიერ 1918 წ. № 405 და № 487 გრიგოლ და სტეფანე არიუტინოვების სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4204 3—1

დაიკარგა საზღვარ გარეთის პასპორტი ანატოლი კლავდის ძე ტომილინის სახელზე, მიღებული მოსკოვის მილიციიდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4203 3—1

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის ბარათი სურათით № 1045 მილიციონერ ლუკა სტეფანეს ძე აგულოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4206 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი № 486 სიმონ გიორგის ძე გვასალიას სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4207 3—1

დაიკარგა პასპორტი № 10659 ნინო კონსტანტინეს ასული სიმონოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4209 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა მიხეილ ნიკიფორეს ძე კალინინის სახელზე. მიღებული ტფ. ქალაქის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4211 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის უწყება მიხეილ ბარსეგის ძე პირკუმოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4215 3—1

## შემთხვევით იყიდება

### დაუწველი რკინის კასა მაგარი და კარში.

**მისამართი:** მე 5 უბანი, არგუთინის ქუჩა, № 14 ზემო სართული, ბინა ბახანოვისა.
4214 1—1

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ქვემოდ აღნიშნული საქონელი და ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალურ საწყობში ამა წლის „20" დეკემბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება „21" დეკემბერს 1920 წ.

**ტ ვ ი რ თ ი**

ტფილისიდან—საჯევახო № 616545 რიგ. № 361 მინერალური წყალი ქებაძისაგან—პირველი კლასის მებუფეტე—14 ფ. 6 გ., ქვალონიდან—ნავთლუღში № 11214 რიგ. № 364 ცარიელა კასრები გაგზ. ჭანტურია მიმღები გარკვევით არ არის 2 ფ. 10 გ.

**„ბ ა გ ა ჟ ი"**

ტფილისიდან—ბაკურიანი № 2959 რიგ. № 327—3 ფ., ტფილისიდან—ბორჯომში № 14498 რიგ. № 358—5 ფ. 10 გ.; ავჭალიდან—სალოლში № 6647 რიგ. № 356—4 ფ. 10 გ.: ქუთაისიდან—ტფილისში № 52755 რიგ. № 349—7 ფ.; ბათუმიდან—ტფილისში № 38025 რიგ. № 398—2 ფ.; ქარელიდან—ტფილისში № 25673 რიგ. № 347—20 გ.; ბორჯომი პარ.—ტფილისში № 14851 რიგ. № 346—2 ფ.; გორიდან ტფილისში № 90323 რიგ. № 345—30 გირ.; მცხეთიდან—ტფილისში № 7115 რიგ. № 344—30 გ.; ბორჯომი პარ.—ტფილისში № 14850 რიგ. № 343—2 ფ. 5 გ.; ჭიათურიდან—ტფილისში № 26427 რიგ. №342—20 გ.; გორიდან—ტფილისში № 90775 რიგ. № 341—5 ფ. 30 გ.; ზესტაფონიდან—ტფილისში № 61547 რიგ. № 340—2 ფ. 8 გ.; ძირულიდან—ტფილისში № 12841 რიგ. № 339—1 ფ. 5 გ.; აბაშიდან—ტფილისში № 50131 რიგ. 338—3 ფ.; ფოთიდან—ტფილისში № 90074 რიგ. № 337—2 ფ. 15 გ.; ბათუმიდან—ტფილისში № 37585 რიგ № 336—4 ფ. 35 გ.; ცაგერიდან—ტფილისში № 12835 რიგ. № 329—6 ფ. 20 გ.; ბაკურიანიდან—ტფილისში № 8673 რიგ. № 330—3 ფ.; ბათუმიდან—ტფილისში № 39497 რიგ. № 332—1 ფ. 25 გ.; ტფილისიდან—ფოთში № 6475 რიგ № 363—30 გირ.; გომიდან—ფოთში № 18651 რიგ. 362—1 ფ.; ლანჩხუთიდან—ფოთში № 13726 რიგ. № 360—4 ფ. 30 გ.; სადახლოდან—სანაინში № 16675 რიგ. № 357—2 ფ. 30 გ.; ტფილისის სადგურის აქტი № 434—10/XI რიგ. № 354—1 ფ, 29 გ.; აქტი ტფილისის სადგურის № 436 რიგ. № 353—5 ფ. 10 გ.; აქტი ტფილისის სადგურის № 435 რიგ. № 351—5 გ.; აქტი ტბილისის სადგურის № 460 რიგ. № 350—3 ფ. 4 გირ.

1028 3—2